მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

26 დეკემბერი, 2023
№ 23/10-83

თემა: აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის ხევის მონაკვეთზე არსებული გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ლევან ჯღარკავას

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის ხევის მონაკვეთის მშენებლობის პროცესში გარემოზე ზემოქმედებამ, კერძოდ მდინარის კალაპოტის შევიწროებამ და ფუჭი ქანების სანაყაროს მშრალ ხევში განთავსებამ, ადგილობრივებში გააჩინა ეჭვები მათი უსაფრთხოების შესახებ. ქვემოთ მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა 2023 წლის 21 დეკემბერს საველე გასვლის დროს სოფელ ხევის მოსახლეობის ნაამბობს და ჩვენ მიერ ტერიტორიის დათვალიერებისას აღმოჩენილ გარემოებებს.

გაცნობებთ, რომ სოფელ ხევის ტერიტორიასა და მის მიმდებარედ, ადგილობრივების ცნობით და ჩვენი დაკვირვებით, მდინარე რიკოთულა ძლიერ შევიწროებულია. ადგილობრივები თვლიან, რომ მდინარის კალაპოტის ცვლილება საფრთხეს უქმნის მათ უსაფრთხოებას. მოსახლეობას განსაკუთრებით ეშინია წყალმოვარდნისა და მშენებლობის პროცესში არასტაბილური ფერდებიდან მეწყერის ჩამოსვლის, რასაც შევიწროებული მდინარის ჩახერგვა უფრო სწრაფად და მარტივად შეუძლია.

ადგილობრივები კიდევ ერთ პრობლემად ასახელებენ მაგისტრალის შემადგენელი გვირაბების ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების დროს წარმოქმნილი ფუჭი ქანების სანაყაროს განთავსებას მშრალ ხევში. სანაყარო განთავსებულია ფერდზე, რომელიც მაგისტრალს, სოფელსა და მდინარეს გადმოჰყურებს. მოსახლეობა თვლის, რომ ამ ტერიტორიის სანაყაროდ გამოყენება საფრთხის შემცველია. ადგილობრივების ცნობით, მათ უკვე მიმართეს ავტომაგისტრალის მშენებლობაზე პასუხისმგებელი კომპანიის წარმომადგენლებს თხოვნით შეწყვიტონ სანაყაროს გამოყენება. მათი მოთხოვნის მიუხედავად კომპანია აგრძელებს ტერიტორიაზე ფუჭი ქანების განთავსებას.

აღსანიშნავია, რომ შევიწროებული მდინარის დინების მიმართულებით და სანაყაროდ ქცეული მშრალი ხევის ფერდის ქვეშ, მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს სოფელ ხევის საჯარო სკოლაც. სკოლის ერთ-ერთ შენობაში დროებით განთავსებულია საბავშვო ბაღიც. გაურკვეველია, რა ზომებს იღებენ პასუხისმგებელი პირები ბავშვებისა და მასწავლებლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, შეისწავლოთ ზემოთ აღნიშნული საკითხები და მიიღოთ სათანადო ზომები გარემოსა და ადგილობრივების უსაფრთხოების დასაცავად.

დანართი: 16 ფოტოსურათი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

დავით ჭიპაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

დანართი:

ფოტოსურათები იხილეთ ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: https://we.tl/t-M4OqnN2WIZ

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

15 იანვარი, 2024
№ 24/10-85

თემა: სოფ. ხევის ტერიტორიაზე მდებარე ფუჭი ქანების სანაყაროების დეტალური პროექტების გამოთხოვის თაობაზე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელ პირს

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის 5 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა #2-399 ბრძანება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხევის ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის (E-60) ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის მოდერნიზებისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ. ბრძანების თანახმად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს დაევალა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველეყო ფუჭი ქანების სანაყაროების დეტალური პროექტების shp ფაილებთან ერთად სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმება. გთხოვთ, გადმოგვცეთ ბრძანებაში აღნიშნული ფუჭი ქანების სანაყაროების დეტალური პროექტები shp ფაილებთან ერთად.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

დავით ჭიპაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

15 იანვარი, 2024
№ 24/10-87

თემა: სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმების
დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოთხოვნის თაობაზე

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საჯარო ინფორმაციის
ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელ პირს

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის 5 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა #2-399 ბრძანება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხევის ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის (E-60) ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის მოდერნიზებისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ. ბრძანების თანახმად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს დაევალა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე სახელმწიფო ტყის ფონდის მართვას დაქვემდებარებულ ფართობებზე, ნებისმიერი ქმედება განეხორციელებინა კანონმდებლობით დადგენილი წესით და უზრუნველეყო აღნიშნული საკითხის სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმება. გთხოვთ, გადმოგვცეთ ბრძანებაში აღნიშნული შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

დავით ჭიპაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

22 იანვარი, 2024
№ 24/10-88

თემა: აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის ხევის მონაკვეთზე არსებული გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ლევან ჯღარკავას

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის 26 დეკემბერს მოგმართეთ წერილობით (გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში რეგისტრაციის ნომერი NDES72300096566) აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის ხევის მონაკვეთზე არსებული გარემოსდაცვითი პრობლემების თაობაზე. კერძოდ, საკითხი ეხებოდა მდინარე რიკოთულას კალაპოტის შევიწროებას, მეწყერების გააქტიურებას და ფუჭი ქანების სანაყაროს განთავსებას მშრალ ხევში. წერილში ვითხოვდით ჩვენ მიერ დასმული საკითხების შესწავლას და სათანადო ზომების გატარებას გარემოსა და ადგილობრივების უსაფრთხოების დასაცავად.

2024 წლის 17 იანვარს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლმა სატელეფონო საუბრისას გვაცნობა, რომ დეპარტამენტს დღემდე არ დაუწყია საკითხის შესწავლა. მიზეზად უამინდობა დაასახელეს.

უამინდობა ადგილზე მოკვლევას შესაძლოა ართულებს, თუმცა არ ხდის მას შეუძლებელს. 2024 წლის 16 იანვარს ჩვენ კიდევ ერთხელ მოვახერხეთ სოფელ ხევში საველე გასვლის ორგანიზება და ადგილობრივებთან გასაუბრება. გაცნობებთ, რომ ჩვენი დაკვირვებით მეწყერსაშიში ზონები და ქვათაცვენის პროცესები უფრო მეტად გააქტიურებულია. ამას თან ერთვის, მდინარის კალაპოტის შევიწროებით და მშრალ ხევში სანაყაროს განთავსებით გამოწვეული რისკები. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გარემოებები საფრთხეს უქმნის ხევის მოსახლეობას და ასობით მგზავრს, რომლებიც ყოველდღიურად გადაადგილდებიან მაგისტრალზე. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ შევიწროებული მდინარის კალაპოტის დინების მიმართულებით და სანაყაროდ ქცეული მშრალი ხევის ფერდის ქვეშ, მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს სოფელ ხევის საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღი. აქედან გამომდინარე, გთხოვთ,

დაუყოვნებლივ შეისწავლოთ აღნიშნული საკითხი და სიტუციის კიდევ უფრო დამძიმებამდე მოახდინოთ სათანადო რეაგირება.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

დავით ჭიპაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

24 იანვარი, 2024
№ 24/10-89

თემა: საჯარო შეხვედრების ოქმების გამოთხოვის თაობაზე

სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა
და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს
ქალბატონ ფიქრია კვერნაძეს

ქალბატონო ფიქრია,

გთხოვთ, გადმოგვცეთ აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევის (F1), ხევი-უბისას (F2), უბისა-შორაპანის (F3) და შორაპანი-არგვეთას (F4) მონაკვეთზე 2023 წლის პირველი იანვრიდან, 2023 წლის 29 დეკემბრამდე ჩატარებული საჯარო შეხვედრების აუდიო და/ან ვიდეო ჩანაწერები და ოქმები.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

დავით ჭიპაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

6 თებერვალი, 2024
№ 24/10-91

თემა: სოფ. ხევის ტერიტორიაზე მდებარე ფუჭი ქანების სანაყაროების დეტალური პროექტების სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების ასლის და დანართის გამოთხოვის თაობაზე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელ პირს

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის 5 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა #2-399 ბრძანება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხევის ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის (E-60) ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის მოდერნიზებისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ. ბრძანების თანახმად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს დაევალა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველეყო ფუჭი ქანების სანაყაროების დეტალური პროექტების shp ფაილებთან ერთად სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმება. 2024 წლის 5 თებერვალს გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გადმოგვცა N2, N7, N7ა, N8, N11 და N13 სანაყაროების მოწყობის საპროექტო დოკუმენტები და შესაბამისი Shape - ფაილები.

გთხოვთ, გადმოგვცეთ N 2-399 ბრძანებაში აღნიშნული ფუჭი ქანების სანაყაროების დეტალური პროექტების სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების ასლები.

ასევე, გთხოვთ გადმოგცეთ თქვენ მიერ 2024 წლის 5 თებერვალს გამოგზავნილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს N 5524/01 წერილის დანართი: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2021 წლის 27 მაისის N21/1565 წერილის ასლი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

დავით ჭიპაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

13 თებერვალი, 2024
№ 24/10-92

თემა: E-60 მაგისტრალის გარკვეულ მონაკვეთებზე
საჯარო შეხვედრების ოქმების გამოთხოვის თაობაზე

სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა
და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს
ქალბატონ ფიქრია კვერნაძეს

ქალბატონო ფიქრია,

2024 წლის 24 იანვრის № 24/10-89 წერილით მოგმართეთ აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის გარკვეულ მონაკვეთებზე ჩატარებული საჯარო შეხვედრების ოქმების გადმოცემის თხოვნით. კერძოდ ვითხოვდით, 2023 წელს E-60 მაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევის (F1), ხევი-უბისას (F2), უბისა-შორაპანის (F3) და შორაპანი-არგვეთას (F4) მონაკვეთებზე ჩატარებული საჯარო შეხვედრების აუდიო და/ან ვიდეო ჩანაწერებს და ოქმებს. პასუხად, 2024 წლის 9 თებერვალს მივიღეთ თქვენი 2024 წლის 7 თებერვლის № 2-15/1541 წერილი, რომელიც მოიცავს ზოგადი სახის ინფორმაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული შეხვედრების რაოდენობის შესახებ. მოგახსენებთ, რომ ჩვენ მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია და თქვენ მიერ მოწოდებულ პასუხი არ შეესაბამება ერთმანეთს.

აქედან გამომდინარე, გთხოვთ, გადმოგვცეთ აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევის (F1), ხევი-უბისას (F2), უბისა-შორაპანის (F3) და შორაპანი-არგვეთას (F4) მონაკვეთზე 2023 წლის პირველი იანვრიდან, 2023 წლის 31 დეკემბრამდე ჩატარებული საჯარო შეხვედრების აუდიო და/ან ვიდეო ჩანაწერები და ოქმები.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

დავით ჭიპაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

13 თებერვალი, 2024
№ 24/10-93

თემა: სოფ. ხევის ტერიტორიაზე მდებარე ფუჭი ქანების სანაყაროების დეტალური პროექტების სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების ასლის გამოთხოვის თაობაზე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელ პირს

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის 5 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა #2-399 ბრძანება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხევის ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის (E-60) ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის მოდერნიზებისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ. ბრძანების თანახმად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს დაევალა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველეყო ფუჭი ქანების სანაყაროების დეტალური პროექტების shp ფაილებთან ერთად სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმება. 2024 წლის 6 თებერვალს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსაგან გამოვითხოვეთ სოფელ ხევის ტერიტორიაზე მდებარე ფუჭი ქანების სანაყაროების დეტალური პროექტების სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების ასლი და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს N 5524/01 წერილის დანართი. 2024 წლის 9 თებერვალს გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გადმოგვცა, მხოლოდ 2021 წლის 27 მაისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაგზავნილი კორესპონდენციის ასლი.

გთხოვთ, გადმოგვცეთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N 2-399 ბრძანებაში აღნიშნული ფუჭი ქანების სანაყაროების დეტალური პროექტების სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების ასლები.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

დავით ჭიპაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

20 თებერვალი, 2024
№ 24/10-94

თემა: აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის ხევის მონაკვეთზე არსებული გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ლევან ჯღარკავას

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
შიდა აუდიტის დეპარტამენტის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ბატონ გიორგი ხვედელიძეს

ბატონო ლევან, ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის 26 დეკემბერს (მწვანე ალტერნატივას მიერ მინიჭებული წერილის № 23/10-83) და 2024 წლის 22 იანვარს (№ 24/10-88) მოგმართეთ წერილობით აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის ხევის მონაკვეთზე არსებული გარემოსდაცვითი პრობლემების თაობაზე. კერძოდ, საკითხი ეხებოდა მდინარე რიკოთულას კალაპოტის შევიწროებას, მეწყერების გააქტიურებას და ფუჭი ქანების სანაყაროს განთავსებას მშრალ ხევში. აღვნიშნავდით, რომ ეს გარემოებები საფრთხეს უქმნიდა სოფელ ხევის მცხოვრებთ, მათ შორის სოფლის საჯარო სკოლის მოსწავლეებს. წერილში ვითხოვდით ჩვენ მიერ დასმული საკითხების შესწავლას და სათანადო ზომების გატარებას გარემოსა და ადგილობრივების უსაფრთხოების დასაცავად.

2024 წლის 14 თებერვალს მონიტორინგის მიზნით ვიმყოფებოდით სოფელ ხევში. სამწუხაროდ, მწვანე ალტერნატივას № 23/10-83 და № 24/10-88 წერილებში აღნიშნული უსაფრთხოების რისკები კვლავ მწვავედ დგას. გარდა ამისა, სკოლის ეზოს გვერდით სამშენებლო მოედნის განთავსებამ დამატებით საფრთხეები შეუქმნა მოსწავლეებსაც. მაგალითად, 14 თებერვალს შევნიშნეთ, რომ სკოლის ეზოსა და მდინარის კალაპოტის გასწვრივ, უსაფრთხოების ნორმების დარღვევით, განთავსებულია ელექტრო საღენი. საღენის ნაწილი ჩავშებულია მდინარეში (იხილეთ დანართი 1).

საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის მშენებლობისას, სასწავლო დაწესებულებებთან უსაფრთხოების ნორმების დარღვევა მუდმივად პრობლემას წარმოადგენდა. ამ

საკითხზე ადგილობრივების მიერ გამოთქმული უკმაყოფილება და შეშფოთება აზიის განვითარების ბანკისთვის მომზადებულ ანგარიშშიც არის აღწერილი.
(იხილეთ: https://www.adb.org/sites/default/files/project-documents/49257/49257-001-smr-en_13.pdf)

იმავე დღეს, სოფელ ხევიდან დავუკავშირდით გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ცხელ ხაზს. შევატყობინეთ, სოფელ ხევის სკოლის მიმდებარედ მშრალ ხევში განთავსებული ფუჭი ქანების სანაყაროს ქვემოთ ფერდებზე შემჩნეული ცვლილებების და სკოლის მიმდებარედ განთავსებული ელექტრო სადენის შესახებ (იხილეთ დანართი 1).

ჩვენ შეშფოთებას იწვევს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უმოქმედობა. მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტმა პირველი შეტყობინება სოფელ ხევში არსებული გარემოსდაცვითი პრობლემებისა და უსაფრთხოების რისკების შესახებ 2023 წლის 26 დეკემბერს მიიღო, დღემდე არ მოუხდენია რეაგირება.

საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაუყოვნებლივ შეისწავლოთ აღნიშნული საკითხი და შეგვატყობინოთ თქვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და ზომების შესახებ.

დანართი 1: 8 ფოტო;
დანართი 2: მწვანე ალტერნატივას 2023 წლის 26 დეკემბერის № 23/10-83 და 2024 წლის 22 იანვრის № 24/10-88 წერილები.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,



დავით ჭიპაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

20 თებერვალი, 2024
№ 24/10-95

თემა: მდინარე რიკოთულასა და ძირულაზე ჩატარებული ჰიდროლოგიური კვლევის/მოდელირების გამოთხოვის თაობაზე

სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა
და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს
ქალბატონ ფიქრია კვერნაძეს

ქალბატონო ფიქრია,

აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევი, ხევი-უბისა, უბისა-შორაპანი, შორაპანი-არგვეთას მონაკვეთების გარემოზე ზემოქმედების ანგარიშები არ მოიცავს ინფორმაციას დეტალური ჰიდროლოგიური კვლევებისა და ჰიდრავლიკური მოდელების შესახებ.

გთხოვთ, გადმოგვცეთ ჰიდროლოგიური კვლევა/მოდელირება, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის ზემოთ აღნიშნულ მონაკვეთებზე საავტომობილო გზის მშენებლობისათვის უსაფრთხო დერეფანი (მდინარე რიკოთულასა და ძირულას დატბორვის არეალი პროექტების განხორციელების მთელს სიგრძეზე), ასევე აქ მოსაწყობი ხიდების, აკვედუკების და ნაპირდამცავი ნაგებობების პარამეტრები.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

დავით ჭიპაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

20 თებერვალი, 2024
№ 24/10-96

თემა: აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის ხევის მონაკვეთზე არსებული საფრთხეების შესახებ

საქართველოს სახალხო დამცველს
ბატონ ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

მოგმართავთ, აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხევის (რიკოთის) მონაკვეთზე მიმდინარე ავტობანის მშენებლობის პროცესში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის მოსახლეობის, მათ შორის ბავშვების, უსაფრთხოების უგულებელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით. კერძოდ, საკითხი ეხება მდინარე რიკოთულას კალაპოტის შევიწროებას, მეწყერების გააქტიურებას და ფუჭი ქანების სანაყაროს განთავსებას მშრალ ხევში, რომლებიც წარმოშობს უსაფრთხოების რისკებს სოფელ ხევის მცხოვრებლებისა და სოფლის სკოლის მოსწავლეებისთვის.

“მწვანე ალტერნატივას” თანამშრომლები 2023 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში, ასევე 2024 წლის იანვარსა და თებერვალში, იმყოფებოდნენ სოფელ ხევის ტერიტორიაზე მონიტორინგის მიზნით. თანამშრომლები ეცნობოდნენ მაგისტრალის მშენებლობის გავლენას გარემოსა და ადგილობრივების ყოველდღიურობაზე. ადგილობრივების ცნობით, საავტომობილო გზის მშენებლობის პროცესში გარემოზე ზემოქმედებამ – მდინარე რიკოთულას კალაპოტის შევიწროებამ და მეწყრული პროცესების გააქტიურებამ – მათში გააჩინა საფრთხისა და დაუცველობის შეგრძნება.

ამასთან, ადგილობრივები შეშფოთებულნი არიან მაგისტრალის შემადგენელი გვირაბების ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების დროს წარმოქმნილი ფუჭი ქანების სანაყაროს მშრალ ხევში განთავსების გამო. სანაყარო განთავსებულია ფერდზე, რომელიც მაგისტრალს, სოფელ ხევს, საჯარო სკოლასა და მდინარეს გადმოჰყურებს. მოსახლეობა თვლის, რომ ამ ტერიტორიის სანაყაროდ გამოყენება საფრთხის შემცველია. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 14 თებერვალს სოფელ ხევში მონიტორინგის დროს მშრალ ხევში, სადაც განთავსებულია ფუჭი ქანების სანაყარო, ფერდებზე შევნიშნეთ ცვლილებები (იხილეთ დანართი 1), რაც ჩვენი აზრით დაუყოვნებლივ შესწავლას საჭიროებს.

აღსანიშნავია, რომ სოფელ ხევის საჯარო სკოლა, სადაც ამჟამად ასევე განთავსებულია საბავშვო ბაღი, უშუალოდ ამ საფრთხეების გავლენის ქვეშ ექცევა. კერძოდ, შევიწროებული მდინარის კალაპოტის გვერდით და სანაყაროდ ქცეული მშრალი ხევის ფერდის ქვეშ, მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს სოფელ ხევის საჯარო სკოლის შენობა (იხილეთ დანართი 1).

გარდა ამისა, დამატებით გაცნობებთ, რომ სოფელ ხევის საჯარო სკოლის ეზოს მიმდებარედ, მდინარის გასწვრივ, უსაფრთხოების ნორმების დარღვევით განთავსებულია ელექტრო სადენი. განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ ელექტრო სადენი ნაწილობრივ სკოლის მიმდებარედ მდინარეშია ჩაშვებული (იხილეთ დანართი 1). საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის მშენებლობისას, სასწავლო დაწესებულებებთან უსაფრთხოების ნორმების დარღვევა მუდმივად პრობლემას წარმოადგენდა. ამ საკითხზე ადგილობრივების მიერ გამოთქმული უკმაყოფილება და შეშფოთება აზიის განვითარების ბანკისთვის მომზადებულ ანგარიშშიც არის აღწერილი.
(იხილეთ: www.adb.org/sites/default/files/project-documents/49257/49257-001-smr-en_13.pdf)

სოფელ ხევში არსებული საფრთხეებისა და პრობლემების შესახებ 2023 წლის 26 დეკემბერს (მწვანე ალტერნატივას მიერ მინიჭებული წერილის No23/10-83) და 2024 წლის 22 იანვარს (No 24/10-88) წერილობით მივმართეთ გარემოსადაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. გარდა ამისა, 2024 წლის 14 თებერვალს, სოფელ ხევიდან დავუკავშირდით გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ცხელ ხაზს. შევატყობინეთ, სოფელ ხევის სკოლის მიმდებარედ მშრალ ხევში განთავსებული ფუჭი ქანების სანაყაროს ქვემოთ ფერდზე შემჩნეული ცვლილებებისა და ელექტრო სადენის შესახებ.

ჩვენ შეშფოთებას იწვევს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უმოქმედობა. მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტმა პირველი შეტყობინება სოფელ ხევში არსებული გარემოსდაცვითი პრობლემებისა და უსაფრთხოების რისკების შესახებ 2023 წლის 26 დეკემბერს მიიღო, დღემდე არ მოუხდენია რეაგირება.

აქედან გამომდინარე, გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლოთ აღნიშნული საკითხი. "მწვანე ალტერნატივა" მზად არის საკითხის მოკვლევის პროცესში სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობისთვის.

დანართი 1: 10 ფოტო;
დანართი 2: მწვანე ალტერნატივას 2023 წლის 26 დეკემბერის No 23/10-83 და 2024 წლის 22 იანვრის No 24/10-88 წერილები.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,



დავით ჭიპაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

23 თებერვალი, 2024
№ 24/10-97

თემა: აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის ხევის მონაკვეთზე არსებული საფრთხეების შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს
ბატონ გიორგი ამილახვარს

ბატონო გიორგი,

მოგმართავთ, აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხევის (რიკოთის) მონაკვეთზე მიმდინარე ავტობანის მშენებლობის პროცესში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელების უსაფრთხოების უგულებელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით. კერძოდ, საკითხი ეხება მაგისტრალის მშენებლობისას მდინარე რიკოთულას კალაპოტის შევიწროებას, მეწყერების გააქტიურებას და ფუჭი ქანების სანაყაროს განთავსებას მშრალ ხევში, რომლებიც წარმოშობს უსაფრთხოების რისკებს ბავშვებისთვის.

სოფელ ხევის საჯარო სკოლა, სადაც ამჟამად ასევე განთავსებულია საბავშვო ბაღი, უშუალოდ ამ საფრთხეების გავლენის ქვეშ ექცევა. კერძოდ, შევიწროებული მდინარის კალაპოტის დინების მიმართულებით და სანაყაროდ ქცეული მშრალი ხევის ფერდის ქვეშ, მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს სოფელ ხევის საჯარო სკოლის შენობა.

“მწვანე ალტერნატივას” თანამშრომლები 2023 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში, ასევე 2024 წლის იანვარსა და თებერვალში, იმყოფებოდნენ სოფელ ხევის ტერიტორიაზე მონიტორინგის მიზნით. თანამშრომლები ეცნობოდნენ მაგისტრალის მშენებლობის გავლენას გარემოსა და ადგილობრივების ყოველდღიურობაზე. ადგილობრივების, მათ შორის სკოლის მოსწავლეების მშობლების, ცნობით საავტომობილო გზის მშენებლობის პროცესში გარემოზე ზემოქმედებამ – მდინარე რიკოთულას კალაპოტის შევიწროებამ და მეწყრული პროცესების გააქტიურებამ – მათში გააჩინა საფრთხისა და დაუცველობის შეგრძნება.

ერთ-ერთ პრობლემას მაგისტრალის შემადგენელი გვირაბების ფუჭი ქანების სანაყაროს მშრალ ხევში განთავსება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 14 თებერვალს სოფელ ხევში მონიტორინგის დროს მშრალ ხევში, სადაც განთავსებულია ფუჭი ქანების სანაყარო, ფერდებზე შევნიშნეთ ცვლილებები (იხილეთ დანართი 1), რაც ჩვენი აზრით დაუყოვნებლივ შესწავლას საჭიროებს.

სოფელ ხევში არსებული საფრთხეებისა და პრობლემების შესახებ 2023 წლის 26 დეკემბერს (მწვანე ალტერნატივას მიერ მინიჭებული წერილის No23/10-83) და 2024 წლის 22 იანვარს (No 24/10-88) წერილობით, ხოლო 2024 წლის 14 თებერვალს ცხელი ხაზის საშუალებით, ეცნობა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

ჩვენ შეშფოთებას იწვევს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უმოქმედობა. მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტმა პირველი შეტყობინება სოფელ ხევში არსებული გარემოსდაცვითი პრობლემებისა და უსაფრთხოების რისკების შესახებ 2023 წლის 26 დეკემბერს მიიღო, დღემდე არ მოუხდენია რეაგირება.

გარდა ამისა, დამატებით გაცნობებთ, რომ სოფელ ხევის საჯარო სკოლის ეზოს მიმდებარედ, მდინარის გასწვრივ, უსაფრთხოების ნორმების დარღვევით განთავსებულია ელექტრო სადენი. 14 თებერვალს, ეს სადენი მდინარეში იყო ჩაშვებული. მშენებელი კომპანიის წარმომადგენელთან საუბრის შემდეგ, სადენი მდინარიდან ამოიღეს, თუმცა უსაფრთხოების ნორმები კვლავ არ არის დაცული (იხილეთ დანართი 1). საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის მშენებლობისას, სასწავლო დაწესებულებებთან უსაფრთხოების ნორმების დარღვევა მუდმივად პრობლემას წარმოადგენდა. ამ საკითხზე ადგილობრივების მიერ გამოთქმული უკმაყოფილება და შეშფოთება აზიის განვითარების ბანკისთვის მომზადებულ ანგარიშშიც არის აღწერილი.
(იხილეთ: www.adb.org/sites/default/files/project-documents/49257/49257-001-smr-en_13.pdf)

აქედან გამომდინარე, გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლოთ აღნიშნული საკითხი, მოახდინოთ სათანადო რეაგირება და უზრუნველყოთ ბავშვების უსაფრთხოება.

დანართი 1: 9 ფოტო;
დანართი 2: მწვანე ალტერნატივას 2023 წლის 26 დეკემბერის No 23/10-83 და 2024 წლის 22 იანვრის No 24/10-88 წერილები.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,



დავით ჭიპაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

28 თებერვალი, 2024
№ 24/10-98

თემა: აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის ხევის მონაკვეთზე არსებული გარემოსდაცვითი პრობლემების და საფრთხეების შესახებ

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსს
ბატონ გიორგი გეჯაძეს

ბატონო გიორგი,

მოგმართავთ, აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხევის (რიკოთის) მონაკვეთზე მიმდინარე ავტობანის მშენებლობის პროცესში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის მოსახლეობის, მათ შორის ბავშვების, უსაფრთხოების უგულებელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით. კერძოდ, საკითხი ეხება მაგისტრალის მშენებლობისას მდინარე რიკოთულას კალაპოტის შევიწროებას, მეწყერების გააქტიურებას და ფუჭი ქანების სანაყაროს განთავსებას მშრალ ხევში, რომლებიც წარმოშობს უსაფრთხოების რისკებს ბავშვებისთვის.

სოფელ ხევის საჯარო სკოლა, სადაც ამჟამად ასევე განთავსებულია საბავშვო ბაღი, უშუალოდ ამ საფრთხეების გავლენის ქვეშ ექცევა. კერძოდ, შევიწროებული მდინარის კალაპოტის დინების მიმართულებით და სანაყაროდ ქცეული მშრალი ხევის ფერდის ქვეშ, მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს სოფელ ხევის საჯარო სკოლის შენობა.

“მწვანე ალტერნატივას” თანამშრომლები 2023 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში, ასევე 2024 წლის იანვარსა და თებერვალში, იმყოფებოდნენ სოფელ ხევის ტერიტორიაზე მონიტორინგის მიზნით. თანამშრომლები ეცნობოდნენ მაგისტრალის მშენებლობის გავლენას გარემოსა და ადგილობრივების ყოველდღიურობაზე. ადგილობრივების, მათ შორის სკოლის მოსწავლეების მშობლების, ცნობით საავტომობილო გზის მშენებლობის პროცესში გარემოზე ზემოქმედებამ – მდინარე რიკოთულას კალაპოტის შევიწროებამ და მეწყრული პროცესების გააქტიურებამ – მათში გააჩინა საფრთხისა და დაუცველობის შეგრძნება.

ერთ-ერთ პრობლემას მაგისტრალის შემადგენელი გვირაბების ფუჭი ქანების სანაყაროს მშრალ ხევში განთავსება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 14 თებერვალს სოფელ ხევში მონიტორინგის დროს მშრალ ხევში, სადაც განთავსებულია ფუჭი ქანების სანაყარო, ფერდებზე შევნიშნეთ ცვლილებები (იხილეთ დანართი 1), რაც ჩვენი აზრით დაუყოვნებლივ შესწავლას საჭიროებს.

სოფელ ხევში არსებული საფრთხეებისა და პრობლემების შესახებ 2023 წლის 26 დეკემბერს (მწვანე ალტერნატივას მიერ მინიჭებული წერილის (No23/10-83), 2024 წლის 22 იანვარს (No 24/10-88) და 2024 წლის 20 თებერვალს (No24/10-94) წერილობით, ხოლო 2024 წლის 14 თებერვალს ცხელი ხაზის საშუალებით, ეცნობა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

ჩვენ შეშფოთებას იწვევს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უმოქმედობა. მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტმა პირველი შეტყობინება სოფელ ხევში არსებული გარემოსდაცვითი პრობლემებისა და უსაფრთხოების რისკების შესახებ 2023 წლის 26 დეკემბერს მიიღო, დღემდე არ მოუხდენია რეაგირება.

გარდა ამისა, დამატებით გაცნობებთ, რომ სოფელ ხევის საჯარო სკოლის ეზოს მიმდებარედ, მდინარის გასწვრივ, უსაფრთხოების ნორმების დარღვევით განთავსებულია ელექტრო სადენი. 14 თებერვალს, ეს სადენი მდინარეში იყო ჩაშვებული. მშენებელი კომპანიის წარმომადგენელთან საუბრის შემდეგ, სადენი მდინარიდან ამოიღეს, თუმცა უსაფრთხოების ნორმები კვლავ არ არის დაცული (იხილეთ დანართი 1). საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის მშენებლობისას, სასწავლო დაწესებულებებთან უსაფრთხოების ნორმების დარღვევა მუდმივად პრობლემას წარმოადგენდა. ამ საკითხზე ადგილობრივების მიერ გამოთქმული უკმაყოფილება და შეშფოთება აზიის განვითარების ბანკისთვის მომზადებულ ანგარიშშიც არის აღწერილი.
(იხილეთ: www.adb.org/sites/default/files/project-documents/49257/49257-001-smr-en_13.pdf)

საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაუყოვნებლივ შეისწავლოთ აღნიშნული საკითხი და შეგვატყობინოთ თქვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და ზომების შესახებ.

დანართი 1: 9 ფოტო;
დანართი 2: მწვანე ალტერნატივას 2023 წლის 26 დეკემბერის No 23/10-83, 2024 წლის 22 იანვრის No24/10-88 და 2024 წლის 20 თებერვლის No24/10-94 წერილები.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,



დავით ჭიპაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

22 მარტი, 2024
№ 24/10-99

თემა: აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის ხევის მონაკვეთზე არსებული გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ლევან ჯღარკავას

ასლი:
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
შიდა აუდიტის დეპარტამენტის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს

ბატონ გიორგი ხვედელიძეს

ბატონო ლევან,

გიდასტურებთ NDES 4 24 00015381 წერილის მიღებას, რომელიც ეხება ჩვენ მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის ხევის მონაკვეთზე დაფიქსირებულ არსებულ გარემოსდაცვით პრობლემებს.

აღსანიშნავია, რომ თქვენი წერილი არ შეიცავს განხორციელებული რეაგირების შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას. სწორედ ამიტომ, გთხოვთ, დამატებით მოგვაწოდოთ ინფორმაცია სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს 2023 წლის 26 დეკემბრის #23/10-83 და 2024 წლის 22 იანვრის #24/10-88 წერილებთან, ასევე, 2024 წლის 14 თებერვალს ცხელ ხაზზე დაფიქსირებულ შეტყობინებასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

კერძოდ, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია საკითხის შესწავლის ვადების შესახებ, მათ შორის, იმის თაობაზე თუ როდის დაიწყო დეპარტამენტმა წერილებში წამოჭრილი პრობლემების მოკვლევა. ასევე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- იმყოფებოდნენ თუ არა დეპარტამენტების თანამშრომლები ადგილზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევში? როდის?
- დაათვალიერეს თუ არა დეპარტამენტის თანამშრომლებმა სკოლის მიმდებარე ტერიტორია? ასევე, ხევში განთავსებული ფუჭი ქანების სანაყარო?
- სხვა რა კონკრეტული რეაგირება მოჰყვა ჩვენ მიერ დასმულ საკითხებს დეპარტამენტის მხრიდან?
- რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავს დეპარტამენტი საკითხის შესასწავლად?

კიდევ ერთხელ, გთხოვთ, დაუყოვნებლივ შეისწავლოთ სოფელ ხევსა და მის მიმდებარედ არსებული გარემოსდაცვითი საკითხები და სიტუციის კიდევ უფრო დამძიმებამდე მოახდინოთ სათანადო რეაგირება.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

დავით ჭიპაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

2 აპრილი, 2024
№ 24/10-100

თემა: აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის მონაკვეთებზე გამოვლენილი დარღვევების თაობაზე

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ლევან ჯღარკავას

ბატონო ლევან,

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, 2022 წლიდან 2024 წლის მარტის თვის ჩათვლით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის ხევი-უბისას (F2), უბისა-შორაპანისა (F3) და შორაპანი-არგვეთას (F4) მონაკვეთებზე გამოვლენილი სამართალდარღვევებისა და გატარებული რეაგირებების შესახებ.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

დავით ჭიპაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი